საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 აპრილი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/22

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო კურსების აღიარების შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივსრსიტეტის სასწავლო კურსების აღიარების წესი, თანახმად დანართისა.

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, შესაბამისმა ფაკულტეტებმა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2013 წლის 27 აპრილის № 04-01/22 დადგენილების
დანართი

სასწავლო კურსების, არაქართულენოვანი ლიტერატურის აღაირებისა და წიგნად გამოცემის წესი

1. სალექციო კურსს ადგენს სასწავლო კურსის/დისციპლინის პროფესორი/მასწავლებელი და წარუდგენს საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელს.

2. საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოდგენილ სალექციო კურსს თუ ის შესაბამისობაშია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან განსახილველად წარუდგენს შესაბამის სასწავლო დეპარტამენტს.

3. სასწავლო დეპარტამენტი განიხილავს წარმოდგნილ სალექციო კურსს და მოწონების შემთხვევაში ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელსაც დეპარტამენტის სხდომის ოქმის ამონაწერის სახით წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს ან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს.

4. ფაკულტეტის დეკანი/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს პროექტს სალექციო კურსის აღიარების შესახებ. აკადემიური საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებას.

5. პროფესორის/მასწავლებლის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს, უცხო ენიდან ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოს, ან ლექციების კურსის წიგნად გამოცემის შემთხვევაში მოქმედებს ამ მუხლის 1, 2 და 3 პუნქტებით, აგრეთვე, უნივერსიტეტის წესდებითა და კანონმდებლობით გათვალიწინებული მოთხოვნები.

6. საგანმანათლებლო პროცესისა და სწავლების სპეციფიკადან გამომდინარე, მუსიკის ფაკულტეტზე დასაშვებია ნოტების, როგორც სავალდებულო ლიტერატურის ქსეროასლების გამოყენება.

7. ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს არ არსებობის შემთხვევაში, ნებადართულია პროფესორის/მასწავლებლის მიერ უცხო ენიდან თარგმნილი სახელმძღვანელოების, სტატიების რიდერების მომზადება და გამოყენება.

8. ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს არ აარსებობის შემთხვევაში, სწავლების სპეციფიკიდან, გამომდინარე, ნებადართულია ძირითად ლიტერატურაში რუსულენოვანი სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის მითითება და გამოყენება.

სწორია: